# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 12. ხუთშაბათი, 18 მაისი, 1906 წ. გაზეთის № 35


### სიმღერა

ადგილო კურუმ-კურუმო,
ველიან-ქალიანაო;
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანაო.
რადა ხარ სულ მუდამ დინჯი,
შე შურახის თვალიანაო,—
იმსჭვალვის აზრით ქვეყანა
კაციან-ქალიანაო?!..
შენის გულისთვის თავს იკლავს
სისხლს და ცრემლს აფრქვევს ყველაო;
შენ არც ჭირს იმჩნევ ჭირადა,
არ დაგეტყობა ლხენაო,
მსმენ·და ნეტამც ერთხელა
მე შენი ტკბილი ენაო;
მენახა აღფრთოვანება
და შენი ალმა-ფრენაო,
გულში ინახავ დიდ ფიქრსა,
არ გინდა გამოჩენაო,
შენი მტერი და ორგული
უფალმა შეაჩვენაო!..
მთვრალი ხარ მხოლოდ ეშხითა,
დღისით მზით, ღამე მთვარითა;
ფეხთით არაგვი გიმღერის,
იორი გიზის თავითა;
გარიგებს დედობრივის ხმით
იყო ჭკვიანად დინჯადა,
რომ გახსენებდეს ქვეყანა
მუდამ ჟამს კაი ბიჭადა.
შემკულსა ყვავილებითა
პირს გბანდეს ნამი დილისა,
გულს გაწვეთებდეს ნექტარსა
სიო ნიავის გრილისა.
ნუ მოსტყუვდები: სიტურფეს
გარეგანს უნდა აზრიცა:
სიმშვენიერეს ტვინისას
ვერ სჯობს სიტურფე ტანისა.
თორემ დაჰკარგავ მაგასაც,
რაც წარმტაცი გაქვს თვალისა...

ვაჟა-ფშაველა

### მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა.)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

#### III

#### ავინიონში.

მეორე დღეს მთელ სოფელში მეჩექმის და იმის ცოლის ჩხუბზე-ღა ლაპარაკობდენ. ამის გამო ძალიან ვშფოთავდი და ვფიქრობდი,—ნეტა პასკალი კიდევ განაგრძობს თუ არა თავის თავგადასავლის ამბავსა-მეთქი.

*) იხ. დამატება № 11.

პაპაჩემმა დამამშვიდა:

— აბა, ჩემო, მალხაზო, აანთე სანათი. აი, ნახავ: ამ საღამოს ლამი ფეხ ქვეშ გაგვეფინება. ამბობენ, ქმარმა კარგი სუსხი აჩვენაო; იმედია, ორიოდ კვირას კრინტს ვეღარ დასძრავს.

მართლაც, მეჩექმის სამუშაო ოთახი ღია იყო. მეჩექმე და იმისი შეგირდი მხიარულად მუშაობდნენ, იმათ გვერდზე იჯდა ლამი და ღიმილით ჩულქსა ჰქსოვდა.

— გამარჯობა, დომინიკ,—უთხრა პაპაჩემს,— დაბძანდით შენც, მალხაზო,—მომიბრუნდა მე,—შენ ალაგას დაჯექი, კატაკი გააგდე...

მერე მივიდა და სანათი გაასწორა. ეტყობოდა, ძალიან კარგ გუნებაზედ იყო.

პასკალი რომ შემოვიდა, ლამიმ მხიარულად უთხრა:

— თქვენ-ღა გელოდით! ცეცხლთან აბლ·ა დაბძანდით. ძალიან საინტერესო ამბავს თურმე უამბობთ ამათ, მეც მოვედი თქვენს საღამოებზედ დასასწრებლად, ძალიან მიყვარს მაგისთანა ამბების მოსმენა.

მოხუცმა პასკალმა, რომელიც ფილოსოფოსი იყო ტლანქ სოფლის კაცის კანში და კარგად იცოდა ჩვენი მასპინძლების ავ-კარგი, მიუგო:

— დარწმუნებული ვარ, შენ შენი ქმრის მუშტები უფრო გიყვარს, აი დღეს როგორი ალერსიანი მასპინძელი ხარ.

— რა ხუმარა ხართ, პასკალ, მაგრამ მაინც არ მესმის, რაზედ ამბობთ მაგას?

— ძალიან კარგად გესმით!

— თუ არ გესმის, მე აგიხსნი,—უთხრა ქმარმა,—პასკალს იმისი თქმა უნდა, რომ შენ სწორედ ჩექმის ძირი ხარ: რამდენიც მეტსა სცემენ კალაპოტით, იმდენად უკეთესდება.

იქ მყოფთ სიცილი წასქდათ. მე კი სიცილისა არა მცხელოდა, მოუთმენლად ველოდი ამბის განგრძობას.

— კარგი, კარგი, გეყოფა ცუდ-უბრალო ყბედობა,— სთქვა ლამიმ გაჰარ·ხლებულმა,—შენ მხოლოდ უშლი პასკალს ამბის თქმას.

— თქვენ, პასკალ,—ვუთხარი მე,—შესდექით იმ ადგილს, როდესაც თქვენ მიგათრევდათ სასახლის გზაზედ მაღალი ბერი თ·თრს ანაფორაში.

— დიაღ, დიაღ,—დაიწყო პასკალმა,—როგორც გითხარით, ჩემი მდგომარეობა საშინელი იყო, ჩემი თავი, თუ დაღუპულად მიმაჩნდა. სურტო ხელიდან არ მიშვებდა და წავიბორძიკებდი, უწყალოდ მცემდა.

თვალ წინ სიკვდილი მელანდებოდა. შორიდან მოსჩანდა მუხის აივანი, რომელიც სასახლისაკენ მიდიოდა. რა უნდა მექნა? ერთად-ერთი საშველი ის იყო, როგორმე ხელი გამენთავისუფლებინა იმის ტლანქ თითებიდან და გავქცეულიყავ ტყეში. ამ რიგად ის ვერას დროს ვერ დამეწეოდა სიბნელეში. საქმე ის იყო, როგორ დამეღწია ხელი იმის ღონიერ ბრჭყალებისაგან. ჯერ ვიფიქრე, ვუკბინო მეთქი ხელზე, მაგრამ ეს უფრო წაახდენდა ჩემს ყოფას. უცბად თავში გამირბინა ბედნიერმა აზრმა: მომაგონდა, კალიას რომ სდევნი დასაჭერად, ხშირად თავს მოიმკვდარუნებს და თუ თავი მიანებე, გაფრინდება. მეც მოვინდომე იმისი მიბაძვა და გადავწყვიტე ასრულება. დავეცი მიწაზე და გაუნძრევლად დავეგდე. სურტომ მაინც არ გამიშვა ხელი, წიხლი მკრა და დამიყვირა:

— მაშ, არ გინდა წამოსვლა!

# არჩევნები ტფილისში



გავყუჩდი. დაიხარა და გადმაბრუნა, მაგრამ არც კი გამიფაჩუნია. მაშინ ისეთი სილა გამაწნა, რომ კინაღამ ყბა მომტეხა. მაინც არ გავინძერი. ხელს არ მიშვებდა, თითქოს ექვობდა, რომ ვატყუებდი. ისევ გამათრია, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შედგა.

— დამაცადე, ცოცხალს თუ მკვდარს იქ მიგათრევ!

დაიხარა და ამწია: ზურგზე უნდა ავეკიდნე, მაგრამ გრძელმა ანაფორამ დაუშალა. რა ნახა, რომ უნძრევლად ვეგდე, მოსტყუვდა, მიშვა ხელი და ანაფორის ხდა დაიწყო. ვისარგებლე ამ წუთით, წამოვხტი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვკურცხლე.

— ფლიდო, ბიჭო! მაინც დაგიჭერ, — ღრიალებდა სურტო და მომდევდა, მაგრამ მე ძალზე დავშორდი.

დიდ ხანსა მდია თუ არა იმ უწყალო გერმანელმა, არ ვიცი, მხოლოდ კარგა ხანს მესმოდა შორიდან იმისი ყვირილი და სტვენა. უეჭველია, ძაღლებს უსტვენდა ჩემზედ მოსასევად. ბოლოს მივაღწიე მალმორამდე. მეშველა, დავიხსენ თავი.

კარგა გვიან იყო, მაგრამ მთელს სოფელს მოძრაობა ემჩნეოდა. სარკმლებიდან სინათლე სჩანდა, ქუჩებში ხალხი



მიდი-მოდიოდა. ოთხის ლიბერალის მოკვლამ ააშფოთა სოფელი. ქვემო ქუჩაზე მომესმა ტირილი საცოდავ დედაკაცებისა, რომელთაც ქმრები დაუხოცეს. მომესმა ეგრეთვე საავადმყოფოსთან შეკრებილ ხალხის ხმა.

ისე შეშინებული ვიყავ, რომ არ შევდექი, პირდაპირ მღვდლის სახლში წავედი. დავარახუნე კარი, ჟანეტამ ხმა გამცა:

— ვინ არის?

— მე ვარ, პასკალ.

— როგორ თუ შენ?! მიპასუხა, კარი რომ გამიღო: შენი ბერი რაღა უყავ, თეთრ ანაფორიანი?

— სასახლის გზაზე მივატოვე.

— რისთვის დაგიჭირა?

— რომ მოვეკალი.

— იცი, ის ვინ არის?

— ვიცი: სურტოა.

— მარკიზის ტყის მცველი?

— დიაღ.

— ეგ ტყუილია, გირჩევნია, ეგ არსადა სთქვა. წადი დაიძინე — ჰო, მართლა, იკახშმე?

— დიაღ.

— მაშ დაიძინე. მღვდელი საავადმყოფოში წავიდა. როცა დაბრუნ-



დება, გეტყვი, რომ აქა ხარ და თუ მოინდომებს, გამოგელაპარაკება.

შემიყვანა ეპისკოპოსის საწოლ ოთახში და მითხრა:

— დაძინებისას პირჯვარი მაინც გადიწერე.

ბნელაში ხელის ცეცებით მივედი საწოლთან და დავწექი დასაძინებლად. თვალი ვერ მოვხუჭე. თვალ წინ მედგა საშინელი სურტო, რომელიც დანით ხელში მოდიოდა ჩემსკენ. უცბად კარი გაიღო და სინათლის შუქი მეცა, ოთახში მღვდელი შემოვიდა.

— ნუ გეშინიან, პასკალ, მე ვარ. ჩაიცვი ჩქარა, გათენებამდის უნდა წახვიდე.

— საავადმყოფოში არ წავალ.

— არა, საავადმყოფოში არა გგზავნი. ადე ჩქარა!

დავმორჩილდი, ჩავიცვი, მაგრამ ქუდი ველარ ვიპოვე.

— რას ეძებ? აი შენი ქუდი, — საავადმყოფოში დაგრჩა.




ამ ლაპარაკით მღვდელმა სამზარეულოში წამიყვანა, აქ ჟანეტა ფაცი-ფუცობდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რითი გათავდება ეს ამბავი?

ჟანეტამ მაგიდიდან ლურჯი პარკი აიღო და იმანა და მღვდელმა შიგ ჩააწყეს პატარა პური, რამდენიმე ლელვი, ერთი მუჭა ნუში, ოთხი ვაშლი და პატარა, ბოთლით ღვინო.

— შვილო, — მითხრა მღვდელმა, როცა ყველაფერი მოამზადეს, — ძალიან აუტანელი დრო დადგა, ხალხი მგლებზე უარესი გახდა: ერთმანეთს ჟლეტენ და სისხლი რუსავით მიდის ქუჩებში. აღარც ნათესავია, აღარც მეგობარი, აღარც მეზობელი, მხოლოდ მკვლელები-ღა არიან. შენ, ჩემო შვილო, გდევნიან სასიკვდილოდ, დანაშაული-კი არა მიგიძღვის-რა, პირიქით, საუცხოვო ბიჭი ხარ. დამიჯერე, წადი ავინიონში. ავინიონი შორს არის, იქ







შენი მტრები ვერ მოგაგნებენ, ეს პარკი წაიღე ორის დღის საგძლით და ეს წერილი მიუტანე აბბატ ჟოსერანს. ის კარგად დაგაბინავებს და შეიძლებ პატიოსანი შრომით მოიპოვო ლუკმა. გახსოვდეს, პასკალ, კაცი კეთილ საქმის მომქმედი არასდროს სინანულში არ შედის, მაგრამ ბოროტების მოქმედი ერთხელაც არის თავის ხორც თავისავე კბილით დაიგლეჯს. მაკოცე და სიტყვა მომეც, რომ არასდროს ბოროტისათვის ბოროტით არ გადაუხდი, პირიქით — ქრისტეს მცნების დაგვარად ყოველთვის ეცდები ბოროტისთვის სიკეთით გადაუხადო.

— დიაღ, პირობას გაძლევთ, თქვენი დარიგება ავასრულო, — მივუგე მე აღელვებულმა. — მაგრამ...

— რა გინდა სთქვა?

— დედიჩემისთვის ვინ იზრუნავს?

— იმისი დარდი ნუ გაქვს: შენს დედ-მამას არა დააკლდებათ-რა.

პარკი გადამკიდა, ხელი დამიჭირა და კიბეზე ჩამიყვანა. ქუჩაში სიჩუმე იყო. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავებს კაშკაში გაჰქონდა. ცოტა ხანს ჩვენ უკან გავედით სოფლიდან და დავადექით ავინიონის დიდ გზას. მღვდელი გადამეხვია და მითხრა:

— გახსოვდეს ჩემი დარიგება და დარწმუნებული იყავ, რომ მე ვიზრუნებ შენის მშობლებისათვის. წერილი არ დაჰკარგო. ახლა წადი. თორმეტ საათზედ ავინიონში იქნები, მხოლოდ ხან და ხან გზა იკითხე ხოლმე, რომ გზას არ ასცდე.

კიდევ გადამკოცნა და რაღაც ჩამიდო ჯიბეში, მე არ გავშინჯე, რა იყო, რადგან გული ძალიან მიშფოთავდა.

— დიდად გმადლობთ, კეთილო ბატონო, ეს ღა მოვახერხე მეთქვა და გავუდექ გზას.

ჩქარა მივდიოდი, თუმცა, ცოტა არ იყოს, მეშინოდა ბნელ ღამეში მარტოდმარტოს უცნობ ადგილებში სიარული. ხან და ხან ძაღლები მომცვივოდნენ და ძლივს ვიგერებდი ხოლმე. ბოლოს ამოვიდა მზე და მეც გავმხიარულდი. მხოლოდ მაშინ მომაგონდა, რომ ჯიბეში რაღაცა ჩამიდო მღვდელმა. ხელი ჩავიყავ ჯიბეში, ამოვიღე შეხვეული ქაღალდი, გავშალე და ვნახე შიგ სამი თეთრი მანეთი. სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა, წა რმოვი

დგინე, რომ ამოდენა ფულით ჯიბეში და თავისუფალი. მე ბავშვი აღარ ვიყავი, არამედ ნამდვილი ვაჟკაცი, რომელსაც აღარაფრისა არ უნდა ეშინოდეს, თვით სურტოსიც-კი.

მაღლობზე ავედი და შორს გამოჩნდა სამრეკლოები და სახლები დიდის ქალაქისა.

— ეს ავინონია! — წამოვიძახე, — რა ჩქარა მოვედი!

ამ დროს შემხვდა სოფლის კაცი და ვკითხე:

— თუ ღმერთი გწამთ, მიიხ-რით, ეს ავინიონია?

— არა, — მომიგო იმან სიცილით: — გეტყობათ, აქაური არა ხართ. ეს კარპენტრა არის, ავნიონამდე კიდევ დიდი მანძილია, თქვენ იქ დაღამებისას მიხვალთ.

მერე დამაცქერდა და განაგრძო:

— ერთი მითხარით, ყმაწვილო, რისთვის მიდიხარ ავინიონში? თუ მეტის-მეტი გაჭირვებული საქმე არა გაქვსთ, გირჩევთ სახლში დაბრუნდეთ; ამბობენ, იქ რაღაცა ცუდი ამბავიაო, საკვირველიც არ არის: ავინიონელები ცუდი ხალხია, ბოროტი, შურიანი, უწყალო. ტყუილად კი არ ეძახიან იმათ ყაჩაღებს! ისენი რევოლუციის მომხრენი არიან, — დაუმატა მოხუცმა დაბალის ხმით: — და საფრანგეთს ექომაგებიან პაპის წინაღმდეგ. ორჯელ მოვიდნენ კარპენტრაში გასაცარცვავად, მაგრამ ჩვენ ისე შევაშინეთ, რომ კუდ ამოძუებულები გაიქცნენ. გეუბნებით, ყმაწვილო, ნუ მიდიხართ ავინიონში, სახლში დაბრუნდით.

და მოხუცი წავიდა კოჭლობით.

რასაკვირველია, მე იმის ლაპარაკს ყური არ ვუგდე და ჩემ გზას გავუდექ ჩქარის ნაბიჯით.

ბოლოს ჩემს თვალწინ გამოჩნდა დიდი ქალაქი. ღმერთო რა მშვენიერია! პირველად მდინარე რონა დავინახე. რონა ერთი უდიდესი მდინარეა. შემდეგში ვნახე რეინი, დუნაი, ბერეზინი, მაგრამ ყველა ეს მდინარე რონაზე პატარა იყო. ავინიონიც გამოჩნდა: მაღალ ფრიალო კლდეზე, რომელიც რონას დაჰყურებს, მოსჩანს ციხე-დარბაზი, აშენებული პაპის მიერ. კლდის გარშემო და იმის კალთებზე აშენებულია უთვალავი სახლები. აი, ჩემო მეგობრებო, ეს არის ავინიონი. მშვენიერმა სურათმა გამაშტერა, ამასთან მომესმა რაღაც გაუგებარი ხმა: ვერ გაარჩევდა კაცი: დაფის ხმა იყო, თოფის თუ კედლები ინგრეოდა. მომაგონდა მოხუც სოფლელის ამბავი და უნებლიეთ ამაკანკალა. ნეტა რა მომე–ის ამ უცხო ქალაქში, სადაც არავის ვიცნობ? წარმოვიდგინე, რომ ქვეყანაზე ჩემზე უბედური არავინ იყო. უცბად წერილი მომაგონდა და ცოტათი დავმშვიდდი. ჯიბეზე ხელი მოვისვი წერილიც და ფულიც იქა მქონდა. გულზე მომეშვა და ჩქარის ნაბიჯით გავეშურე ქალაქის კარისკენ, რომელსაც წმ. ლაზარის კარი ერქვა.

**ელენე ანტონოვსკისა.**

(შემდეგი იქნება)




ტვირთვით ჩემი შესაფერი მიმაქვს.



როგორ გათავდა ტფილისის არჩევნები.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ხ. რცხილაძე.**

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.

ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.